ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/01

დაბა ქედა, **31 იანვარი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 13:25 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 16.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე-ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე- სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე- ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე- ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას არ ესწრებოდა:
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე-საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე-საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი-საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/01 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

31 დეკემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

3. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

5. **ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

6. **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის

ქონების მართვის განყოფილების უფროსი მ/შ: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის **ავტოსატრანსპორტო საწარმო"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის** თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №01-06/01 მორიგი სხდომის დღის-წესრიგი.

აზრი გამოთქვეს:

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე **დავით სირაბიძემ განცხადება გააკეთა, „როგორც ყველასათვის ცნობილია,** უკვე რამოდენიმე დღეა ჩვენი მეგობარი ქვეყანა - უკრაინა ომის საფრთხის ქვეშაა **რუსეთისაგან. არაერთმა სახელმწიფომ ოფიციალური მხარდაჭერა გამოხატა უკრაინის** მიმართ, თუმცა ჩვენი ქვეყნის არცერთი სახელმწიფო უწყების მიერ ჯერ კიდევ არ **განხორციელებულა რაიმე ოფიციალური წერილის შემუშავება, სადაც უკარინას ღიად** მხარდაჭერას გამოვუცხადებდით ოკუპანტი რუსეთის აგრესიისგან დასაცავად. **მაინტერესებს, ბატონო ამირან, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, თქვენ რა პოზიცია** გაქვთ ამასთან დაკავშირებით? ჩემი აზრით კარგი იქნებოდა თუ ჩვენი საკრებულოს მხრიდანაც გაკეთდებოდა რაიმე ოფიციალური ტექსტის შემუშავება უკრაინის მხარდასაჭერად". შემდგომ დავით სირაბიძემ ისაუბრა ქალაქ ბათუმში საკრებულოდან პოლიციის ძალით გაძევებული საკრებულოს ოპოზიციური წევრების თაობაზე და აღნიშნა, რომ ეს ფაქტი სამარცხვინო იყო, რადგან ხალხის მიერ არჩეულ საკრებულოს წევრებს ასე ძალმომრეობით არ უნდა ექცეოდნენ და ხელს არ უნდა უშლიდნენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას, წუხილი გამოთქვა მათ თანაგუნდელებზე მსგავსი ძალმომრეობითი პოლიტიკის გამო, რომელსაც „ქართული ოცნება" მუდმივად იყენებდა მათი კოლეგების მიმართ. აქვე დავით სირაბიძემ სხდომის თავმჯდომარეს გაახსენა 2021 წლის მე-17 რიგგარეშე სხდომის შემდეგ აჭარის ტელევიზიის ეთერში გასული ინტერვიუდან, მის მიერ გაკეთებული განცხადება ოპოზიციის მისამართით, სადაც ამირან ცინცაძე აცხადებდა, **რომ 2022 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის** პროექტი ოპოზიციური პარტიის მიერ კარგად არ იყო წაკითხული. რაზედაც დავით სირაბიძემ **უპასუხა: „მაშინ არ მომცემია შესაძლებლობა, რომ თქვენთვის ამასთან** დაკავშირებით მეპასუხა, ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გიპასუხოთ, რომ **შესაძლებელია არსებობდეს და რათქმაუნდა, არსებობს ჩვენს შორის ასაკობრივი და სამუშაო** გამოცდილების სხვაობა, მაგრამ მერწმუნეთ იმაში, რომ კითხვაც კარგად შეგვიძლია და საკითხშიც გარკვევა, თუმცა თქვენს ამ „შენიშვნას" მოტივაციად მივიღებთ და გპირდებით,

სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ყურადღებით წავიკითხავთ და გავეცნობით თითოეულ საკითხს“.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ რაც შეეხებოდა უკრაინას, უკარინა არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა და მას მხარსუჭერს ჩვენი სახელმწიფოც, აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სხვა უწყებებმა, ხოლო საკრებულოს ოფიციალური წერილი ცალკე იმიტომ არ გაკეთდა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს პარლამენტი ამ საკითხზე რეზოლუციის განხილვის პროცესშია - ერთიანი ოფიციალური ტექტის შემუშავებასთან დაკავშირებით, სადაც აუცილებლად იქნება ჩაწერილი საქართველოს, როგორც სახელწიფოს მხარდაჭერა უკრაინის სახელმწიფოს მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ უკრაინაში მშვიდობა შენარჩუნდება და ყველანაირი აგრესიისაგან იქნება დაცული. რაც შეეხებოდა, ბიუჯეტთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს, ამირან ცინცაძემ დავით სირაბიძეს განუმარტა, რომ იქ ციფრებში იყო ცდომილება ბიუჯეტის ერთ-ერთ პროგრამაზე, კომენტარი სწორედ ამიტომ იქნა მის მიერ გაკეთებული და კომენტარის ადრესატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ ყოფილა. ამ ინტერვიუთი მან სხდომაზე დასმულ კითხვას გაუკეთა კომენტარი, რადგან სხდომაზე არასწორი ინტერპრეტაცია ჰქონდა ბიუჯეტის პროგრამიდან დასმულ შეკითხვას და სწორედ ამასთან დაკავშირებით გაკეთდა მისი განცხადება ერთ-ერთი საკრებულოს ოპოზიციური წევრის მისამართით. ამირან ციცაძემ ასევე აღნიშნა, რომ რაც უფრო ღრმად მოხდებოდა საკრებულოს სხდომაზე გასატანი საკითხების შესწავლა საკრებულოს წევრების მიერ მით უფრო გაუმჯობესდებოდა კოლეგიალური ორგანოს მუშაობა.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220282-95, 28.01.2022 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია სათანადო ცვლილების განხორციელება რათა სამართლებრივად ახლებურად მოწესრიგდეს და აისახოს კატეგორიის ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ მოსამსახურეებზე სათანადო თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის მხრივ.

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ნაწილში ახლებურად ჩამოყალიბდა სტრუქტურა და განისაზღვრა სარგოები და პოზიციათა დასახელებები შემდეგი სახით:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური				
48	I რანგი – დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი	1	1650
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება				

49	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი	1	1320
50	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	1	1100
51		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯამრთელობის დაცვის საკითხებში	1	880
52		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალური მუშაკი	1	880
53		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში	1	880
54		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სტიქიის საკითხებში	1	880
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება				
55	II რანგი – დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	ბავშთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი (კოორდინატორი)	1	1320
56	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ბავშვთა სოციალური მუშაკი	1	1100
57		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ინსპექტორი	1	880
58		მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -იურისტი	1	880

ასევე პროფესიული საჯარო მოხელეების კატეგორიები შეიცვალა შემდეგ სამსახურებში: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში 1-პოზიცია, არქიტექტურის სამსახურში 1-პოზიცია, ეკონომიკური განვითარების სამსახურში 3-პოზიცია, ადმინისტრაციულ სამსახურში 2-პოზიცია, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში 2-პოზიცია და მათი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა „საჯარო დაწესებულებაში შრომითი ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით მე-2 დანართის მე-4 სვეტით განსაზღვრულ კოეფიციენტით და იგი შეადგენს - 1.0, შესაბამისად თანამდებობრივი სარგო შეადგენს საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით 1100 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

მომხსენებლის მიერ საკითხის წარმოდგენის შემდგომ საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს მერიის საშტატო ნუსხის ცვლილებებთან დაკავშირებით, რამდენი შტატი დაემატება მუნიციპალიტეტის მერიას და რა რაოდენობის თანხა იყო საჭირო წლიურად აღნიშნულის უზრუნველსაყოფად.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მერიის მოქმედი საშტატო ნუსხის რაოდენობა შეადგენდა 87 საშტატო ერთეულს და იგი გაიზრდება 101 საშტატო ერთეულამდე, ხოლო შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ 8 საშტატო ერთეულით შემცირდება და განისაზღვრება 92 საშტატო ერთეულით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი დამატებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი -2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №1, 31.01.2022 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220277, 27.01.2022 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი" განსაზღვრული რეგულაციების შესრულება, რათა ქედის მუნიციპალიტეტში მოწესრიგდეს ზემოთ აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური მუშაობის ჩატარებისა და ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რატომ გახდა საჭირო ახალი დებულების მიღება და რა ამოცანები/მიზნები არ იქნა განხორციელებული ძველი სამსახურის მიერ.

კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე წინა სამსახურს არ ჰქონდა სამართლებრივი ბერკეტი იმისა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები მოწესრიგებულიყო. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში მხოლოდ ახალი კანონის ცვლილებებია შეტანილი და რაიმე ახლის დამტკიცება არ ხდებოდა. დებულების მიღების შემდგომ კი მოხდებოდა კონკურსის წესით თანამშრომლების აყვანა.

დავით სირაბიძემ მადლობა გადაუხადა სულიკო ჩხიკვაძეს განმარტებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ კონკურსის ჩატარებისას ადგილი არ ექნება ნეპოტიზმს და არსებული შტატების შევსება ობიექტურად ჩატარებული კონკურსით წესით მოხდებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება №2, 31.01.2022 წელი).

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი №95-95220281, 28.01.2022 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №12 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება, რათა სამართლებრივად ახლებურად მოწესრიგდეს საკრებულოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოები. აქედან გამომდინარე წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი კატეგორიის ოთხი უფროსი სპეციალისტის სახელფასო კოეფიციენტი განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის დანართი №2-ის მე-5 სვეტით განსაზღვრული კოეფიციენტით და იგი შეადგენს - 1.10, შესაბამისად თანამდებობრივი სარგო შეადგენს საბაზისო განაკვეთზე გამრავლებით 1210 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, იგეგმება თუ არა სამომავლოდ პროფესიულ საჯარო მოხელეებზე ხელფასების ზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ ამირან ცინცაძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანით ხელფასის მომატება არ მომხდარა, უბრალოდ სამართლებრივად და ფინანსურად მოხდა პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (4 სპეციალისტზე) სახელფასო კოეფიციენტის გასწორება თავიანთი კატეგორიების შესაბამისად. რაც შეეხებოდა, ხელფასების გაზრდას ამ ეტაპზე ზუსტ პასუხს რა და როგორ მოხდებოდა ვერ გასცემდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება №3, 31.01.2022 წელი).

4. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №95-95220279, 27.01.2022 წელი) და განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია. საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს და განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრეს 2022 წლის 22 თებერვალი,ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2022 წლის 25 თებერვალი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220314, 31.01.2022 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა სულიკო ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220271-95, 27.01.2022 წელი) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა განისაზღვროს 50 (ორმოცდათი) ერთეულით, რადგანაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში მერს არ ჰყავს სპეციალისტები შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შრომითი ხელშეკრულებით სოფლის სპეციალისტებათ დასაქმებული იქნას ფიზიკური პირები, ასევე მერიის შიდა ადმინისტრაციაში საჭიროებებიდან გამომდინარე აყვანილი იქნას სათანადო სპეციალისტები. აქედან გამომდინარე მერის ინდივიდუალური აქტით განისაზღვრება შრომით ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციათა დასახელებები და მათი თანამდებობრივი სარგოები.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" -ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რამ გამოიწვია ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობრივი ზრდა, როცა რამოდენიმე წლის წინ მისი შემცირება მოხდა, რაც ძალიან დიდი შეცდომა იყო მისი თქმით.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა რაოდენობით გაიზრდება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ადამიანების რიცხვი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მერიის რწმუნებულების თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოხელეები.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ არსებული შტატების შემცირება თვითმმართველობის კოდექსის მიღების შემდეგ მოხდა, სადაც ჩანაწერიც კი არ იყო რომ მერს შეიძლება ჰყოლოდა თავისი რწმუნებული და სპეციალისტები სოფლებში, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე დღეს უკვე ნათელია, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაბელურობის, უკეთ ინფორმირებისათვის საჭიროა სოფლებში მერს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. რაც შეეხება, არსებულ შტატებზე კომპეტენტური პირის დანიშვნას, აღნიშნა, რომ არ არის სავალდებულო საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ჰქონდეს უმაღლესი განათლება. სოფელს შეიძლება ჰყავდეს თავის ავტორიტეტი ადამიანი, რომელიც შეძლებს იყოს კარგი შუამავალი მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, რაც ხელსშეუწყობს სოფლებში ბევრი პრობლემების დროლად მოგვარებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95220311, 31.01.2022 წელი).

6. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220272-95, 27.01.2022 წელი) მომხსენებელმა განმარტა, რომ თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აქუცაში მდებარე 6822 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.03.35.632) და მასზე დამაგრებული №1 და №2 შენობა-ნაგებობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2022 წლის 25 იანვრის №139/02 წერილით ითხოვს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას მაღალმთიან აჭარაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დასასვენებელი ობიექტის (სანატორიუმი) განთავსების პირობით განსაკარგავად. აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტი მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული ობიექტის გადასცეს აჭარის მთავრობას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ -ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რატომ ხდება წარმოდგენილი ტერიტორიის გადაცემა უსასყიდლოდ და გამოთქვა იმედი, რომ არსებული მიწის ტერიტორია არ გადავიდოდა ფიზიკური პირის მფლობელობაში კერძო ინტერესების გამო.

რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშული მიწის ნაკვეთი არ გადადიოდა კერძო მფლობელობაში. მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ ეძლევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შესაბამისად შემდგომში პირობების გათვალისიწინებით განკარგვის უფლებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №g-95.95220313, 31.01.2022 წელი).

7. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

მომხსენებელმა მუხრან სალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი №12-95220244-95, 24.01.2022 წელი) და განმარტა, რომ მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით შ.პ.ს. ,,ავტოსატრანსპორტო საწარმო"-ს (ს/კ 2467544150) გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონება, კერძოდ: ელექტრო მიკროავტობუსი, რომელიც მოემსახურება დაბა ქედის ტერიტორიაზე მოსახლეობას. თავდაპირველად ის უფასო იქნება შემდგომ გახდება ფასიანი რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს რომ გარკვეული ხარჯები აანაზღაუროს, ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში პირველი საკუთრებაა, სამომავლოდ იგეგმება დონორებთან ურთიერთობის გაგრძელება დამატებით მსგავსი ტრანსპორტის შეძენის მიზანით. ამ პროექტის განსახორციელებლად განსაზღვრული იყო ავტოფარეხის შეძენა და იაპონიის საელჩოსთან შეთანხმებით 50 000 ლარად მოსაცდელების განთავსება მოხდება, რაც ხელს შეუწყობს მოსაცდელების განთავსებით საზოგადოებრივი ტრანსპორტში მგზავრთა ჩასხდომა/ჩამოსვლის პროცესის მოწესრიგებას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" -ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ როგორ/რა წესით შეირჩეოდა მძღოლები აღნიშნული ავტომანქანისათვის.

კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა მუხრან სალაძემ განმარტა, რომ მძღოლების შერჩევა კონკურსის წესით მოხდებოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 2 (დავით სირაბიძე და ირაკლი მახარაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220312, 31.01.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:25 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე